დადგენილება:**დ-27. 2723149001**
თარიღი:**29/05/2023**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 11

29 მაისი 2023 წელი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 31/03/2023; 010250050.35.163.016587).

მუხლი 2

დადგენილების დანართით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური (შემდგომში – იურიდიული სამსახური) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გამოცემული მშენებლობის შეჩრების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (შემდგომში - მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შესრულების კონტროლის განხორციელების წესს.

2. მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გაცნობა ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის წესი

1. იურიდიული სამსახური ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თანახმად შეჩერებული მშენებლობა.

2. იურიდიული სამსახური ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა/რეესტრი, რომელშიც ასახული იქნება ის ობიექტები, რომელთა მშენებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით იურიდიული სამსახურის მიერ შეჩერებულ იქნება 2023 წლის 1 აპრილიდან.

3. იურიდიული სამსახური ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საინფორმაციო ბაზის/რეესტრის წარმოების პროცესისათვის გამოყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის შემოწმება გულისხმობს იურიდიულ სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემოწმების პროცესში, აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

6. დათვალიერების ოქმი უნდა შედგეს სათანადო წესით და მოეწეროს ხელი იურიდიულ სამსახურში დასაქმებული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დათვალიერების ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. შესაძლებელია დათვალიერების ოქმზე, ასევე, დაფიქსირდეს სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერაც, რომლის არარსებობამაც არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორე.

7. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იურიდიული სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც აღსასრულებლად მიექცევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, იურიდიული სამსახური ვალდებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პერიოდულობით განახორციელოს ობიექტის შემოწმება.

9. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი „მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული სამსახურის ვალდებულება არ ვრცელდება ამგვარი ობიექტების მიმართ.

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N19 განკარგულებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად, რაც გამოწვეული იყო ხსენებულ ნორმატიულ აქტზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზით. კერძოდ, გამოვლინდა საკრებულოს ნორმატიული აქტის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლთან შეუსაბამობა. ხსენებული დადგენილებით თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობის განყოფილებას მიენიჭა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება, რაც აუცილებელია შეიცვალოს, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ მუნიციპალიტეტის შემდეგ თანამდებობის პირებს: მერს, მერის პირველ მოადგილეს, მერის მოადგილეს და სამსახურის უფროსს. აღნიშნულის გათვალისწინებით, განყოფილების უფროსი არ არის უფლებამოსილი გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს, საკრებულოს ნორმატიული აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების იურიდიული სამსახურისათვის მინიჭება.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება ევროკავშირის რომელიმე სამართლებრივ აქტს, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

დადგენილების პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

დადგენილების პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო - ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

დადგენილების პროექტის მიღების შემთხვევაში, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტი მოყვანილი იქნება საქართველოს კანონმდელობასთან სრულ შესაბამისაობაში.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ვადებთან.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური.